ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7730418

ნომერი: AR11119300

თარიღი : 28.11.2025

გაცემის თარიღი : 05.12.2025

გაცნობის თარიღი : 09.12.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კრწანისის შესახვევი N17 ; ქალაქი თბილისი , კრწანისის შესახვევი N17 ; ქალაქი თბილისი , შესახვევი კრწანისი , N 17(ნაკვ.12/59) ; ქალაქი თბილისი , შესახვევი კრწანისი , N 17(ნაკვ.12/60) ; ქალაქი თბილისი , შესახვევი კრწანისი , N 17(ნაკვ.12/61);

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ლეკიაშვილი პ/ნ 01017013777
- თბილისი კ.მესხის ქ. N 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 28 ნოემბრის №AR11119300 განცხადებით მომართა შალვა ლეკიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანებით 01.18.06.012.146 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 29 ოქტომბრიდან 2026 წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით.
სამსახურის 2025 წლის 19 ნოემბრის №7709663 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატა გამორჩენილი დამხმარე ფართობი (765.9 კვ.მ.). ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 6191.2 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 869.2 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 3536.2 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1557.1 კვ.მ., საერთო ფართობად - 16342.0 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანებით შეთანხმებული -6.60, -3.60, +4.20, +7.50, +10.80, +14.10, +17.40 და +20.70 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა 2025 წლის 5 ნოემბრის №AR11115492 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, დამხმარე ფართობი 765.9 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 764.8 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები და არქიტექტურული გეგმები შეადარა შეთანხმებულ (სამსახურის 2025 წლის 19 ნოემბრის №7709663 ბრძანებით ჩანაცვლებულ) არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმაზე ფართობების გასწორება. ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ფართობის გასწორება გამოიწვევს საერთო ფართობის ცვლილებასაც და 16342.0 კვ.მ-ის ნაცვლად იქნება 16341.0 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს: 764.8 კვ.მ. საერთო ფართობად: 16341.0 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანებით შეთანხმებული (სამსახურის 2025 წლის 19 ნოემბრის №7709663 ბრძანებით ჩანაცვლებული) -6.60, -3.60 და 0.00 ნიშნულის არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს, წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული ამავე ნიშნულის არქიტექტურული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 და 2025 წლის 19 ნოემბრის №7709663 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge